საკანონმდებლო მაცნე

შინაარსი

- საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნა
- საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლება
- აქციზის განაკვეთების განსაზღვრა

ცვლილება კანონში

საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნა

2026 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა კანონი №1456-Vმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. შედეგად განახლდა საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების ფარგლებში მოსათხოვი ინფორმაცია.

განხორციელებული ცვლილებით, სსკ-ის 70-ე მუხლს დაემატა ახალი 3[7] ნაწილი, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ფაქტორინგული კომპანიისა და ფაქტორინგული პლატფორმისგან გამოითხოვოს პირის შესახებ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52[8] მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია (ფაქტორინგული კომპანიის, ფაქტორინგული პლატფორმის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის უშუალო მესაკუთრეებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, მათ შორის, ქონების ან/და ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ, ინფორმაცია).

თავის მხრივ, „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ფაქტორინგული კომპანია და ფაქტორინგული პლატფორმა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ იურიდიულ პირ(ებ)ს, რომლებიც ახორციელებენ ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობებს (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკისა და მიკრობანკისა და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით აქვთ ფაქტორინგის განხორციელების უფლება).

ცვლილება ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლება

2026 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა კანონი №1475-Vმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. შედეგად, განახლდა ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლის სახეები, რომლებიც გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან.

ცვლილების თანახმად, სსკ-ის 82-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა ახალი კ[1] პუნქტი, რომლის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება 2030 წლის 1 აპრილამდე ფიზიკური პირის (დონორის) მიერ სისხლის ან სისხლის კომპონენტის გაღებისთვის მიღებული ფულადი ანაზღაურება.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 2 აპრილიდან

აქციზის განაკვეთების განსაზღვრა

2026 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა კანონი №1477-Vმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. შედეგად, განახლდა აქციზით დასაბეგრი თანხის განსაზღვრის წესი მსუბუქი ავტომობილებისთვის.

განხორციელებული ცვლილებით, სსკ-ის 188-ე მუხლს დაემატა ახალი მე-12-18 ნაწილები, რომელთა მიხედვით, სეს ესნ 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილები დაიბეგრება აქციზის შემდეგი განაკვეთებით:

- 0-დან 6 წლის ასაკის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთია 1.50 ლარი ძრავის მოცულობის 1 სმ3-ზე, ცვლილებამდე კი მოცემული ასაკის ავტომობილებისთვის აქციზის განაკვეთი განისაზღვრებოდა 0.8 ლარიდან 1.5 ლარამდე ძრავის მოცულობის 1 სმ3-ზე.

- 6 წელზე მეტი ასაკის მსუბუქი ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთია 4.50 ლარი ძრავის მოცულობის 1 სმ3-ზე, ხოლო ცვლილებამდე არსებული ნორმებით 6 წელზე მეტი ასაკის ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთი მერყეობდა 0.8 ლარიდან 2.4 ლარამდე ძრავის მოცულობის 1 სმ3-ზე კონკრეტული ასაკის შესაბამისად.

- ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილისთვის, რომელსაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვს ან გადატანილი აქვს, აქციზის განაკვეთი განისაზღვრა ფიქსირებული 3,000 ლარით.

ცვლილებით, ასევე განისაზღვრა მსუბუქი ავტომობილის წლოვანების გამოანგარიშების წესი, კერძოდ, მსუბუქი ავტომობილის (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა) იმპორტის შემთხვევაში წლოვანება გამოითვლება სხვაობით საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის.

ხაზგასასმელია, რომ განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც სეს ესნ 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილის იმპორტისას გადასახდელი აქციზის თანხა დაიბეგრება აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული აქციზის განაკვეთებით, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

- ავტომობილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაცია/ასახვა ან გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გამოწერა 2026 წლის 2 აპრილამდე განხორციელდა;

- ავტომობილის ტრანსპორტირება 2026 წლის 2 აპრილამდე დაიწყო, რაც დასტურდება კონოსამენტით, რომელშიც აღნიშნულია საზღვაო გადამზიდავის მიერ ავტომობილის გემზე მიღების თარიღი, ან საზღვაო გადამზიდავის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს ავტომობილის საზღვაო კონტეინერში 2026 წლის 2 აპრილამდე ჩატვირთვას ან/და გამომგზავნ საზღვაო პორტში 2026 წლის 2 აპრილამდე მიღებას და რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებულია კონტეინერის ნომერი და ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN);

- ავტომობილის საავტომობილო ან სარკინიგზო ტრანსპორტით ტრანსპორტირება 2026 წლის 2 აპრილამდე დაიწყო, რაც დგინდება შესაბამისი გადაზიდვის დამადასტურებელი ზედნადებით (საავტომობილო ტრანსპორტის შემთხვევაში – საავტომობილო ტრანსპორტით საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი ზედნადებით (CMR)) ან გადამზიდავის მიერ გაცემული სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს ავტომობილის/ტვირთის გადასაზიდად 2026 წლის 2 აპრილამდე მიღებას/ჩატვირთვას და რომელშიც მითითებულია ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN/შასის ნომერი) ან/და ავტომობილის შესახებ სხვა მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია გადამზიდავის მიერ გადასაზიდად მიღებული/ჩატვირთული ავტომობილის იდენტიფიკაცია, ამასთანავე, ავტომობილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაცია/ასახვა ან გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გამოწერა 2026 წლის 1 ივლისამდე განხორციელდა;

© BDO

- ავტომობილის თავისი სვლით ტრანსპორტირება 2026 წლის 2 აპრილამდე დაიწყო, რაც დასტურდება ავტომობილის შეძენის თაობაზე 2026 წლის 2 აპრილამდე შედგენილი/გაცემული საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებით/ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით)/სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობით ან სატრანსპორტო საშუალების მოწმობიდან ამონაწერით, რომელშიც აღნიშნულია სატრანსპორტო საშუალებისა და მისი მესაკუთრის (შემძენის) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ამასთანავე, ავტომობილის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაცია/ასახვა ან გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გამოწერა 2026 წლის 1 ივლისამდე განხორციელდა.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 2 აპრილიდან

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნასთან, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლებასა და აქციზის განაკვეთების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.